ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1184526

ნომერი: AR1205436

თარიღი : 19.03.2014

გაცემის თარიღი : 24.03.2014

გაცნობის თარიღი : 25.03.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი III , კორპუსი 17 ; ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი III , კორპუსი 17 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კირთავარი პ/ნ 65002011996
- გლდანის VIIIმიკრ.კორ.19 ბ.11

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტორულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია არსებული მაღაზიის წინ, გარე ვაჭრობის განხორციელების მიზნით, დახლების განთავსება მით უფრო, რომ ადგილი, რომელიც თქვენს მიერ არის შერჩეული მდებარეობს ქალაგეგმარებით კარკასზე, არსებული მაღაზიის წინ, რომელიც ატარებს უკვე ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ იერსახეს.

შესაძლებელია მხოლოდ შედარებით მცირე ზომის საჩრდილობლის მოწყობა რისთვისაც, საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული ფოტომონტაჟი სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით საჩრდილობლის ყველა ზომის მითითებით, ასევე გაითვალისწინეთ, რომ საჭიროა დაკორექტირდეს მოთხოვნის ტექსტი ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით;.

ასევე, ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად სარეკონსტრუქციო ფართების მესაკუთრეა შპს „ერეთელი“, ხოლო განცხადებით მოგვმართეთ თქვენ გიორგი კირთავარი, საჭიროა "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება"-ს ველში აიტვირთოს შპს „ერეთელი“–ს მიერ თქვენს სახელზე გაცემული მინდობილობა/თანხმობა ან ახალი განცხადებით მოგვმართოს აღნიშნულმა პიროვნებამ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.